გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერის მოდელი

თეორიული და პრაქტიკული საკითხები

დამხმარე სახელმძღვანელო მოსამართლეებისთვის

გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერის მოდელი

თეორიული და პრაქტიკული საკითხები

დამხმარე სახელმძღვანელო მოსამართლეებისთვის

2020 წელი

დოკუმენტი მომზადდა პროექტის – „ქმედუნარიანობის ინსტიტუტის განხორციელების ხელშეწყობა საქართველოში“ – ფარგლებში. პროექტი მხარდაჭერილია „ღია საზოგადოების ფონდების“ (OSF) მიერ და მას ახორციელებენ ორგანიზაციები – „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“ (EMC), „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის“ (PHR), „საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია“ (GASW) და „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში – თბილისი“ (GIP – Tbilisi).

დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები გამოხატავს ავტორების პოზიციას და შესაძლოა, არ ასახავდეს „ღია საზოგადოების ფონდების“ (OSF) შეხედულებებს.

დოკუმენტი ეფუძნება კვლევის „ქმედუნარიანობის რეფორმა – არსებული ბარიერები და მათი დაძლევის გზები“ შედეგებს.

ავტორი: ნანა გოჩიაშვილი
დამხმარე სახელმძღვანელოს შექმნის პროცესში ჩართული პირები:
ოლღა კალინა, მარიამ ჯანიაშვილი
რედაქტორი: ნინო ბექიშვილი
დაკაბადონება: თორნიკე ლორთქიფანიძე
გარეკანის ილუსტრაცია და დიზაინი: თათია ნადარეიშვილი

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება
ან გავრცელება კომერციული მიზნით, ორგანიზაციის წერილობითი
ნებართვის გარეშე.

© ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)
მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო
ტელ: +995 032 2 23 37 06
www.emc.org.ge
info@emc.org.ge
https://www.facebook.com/EMCRIGHTS/

სარჩევი

შესავალი 6

1. სამართლებრივი ქმედუნარიანობის არსი 8

1.1. საერთაშორისო ინსტრუმენტები, რომლებიც აღიარებს ყველა ადამიანის უფლებას სამართლებრივ ქმედუნარიანობაზე 8

1.2. რას წარმოადგენს სამართლებრივი ქმედუნარიანობა? 8

1.3. განსხვავებაა სამართლებრივ ქმედუნარიანობასა და ფსიქიკურ ქმედუნარიანობას შორის 8

1.4. სამართლებრივი ქმედუნარიანობის კონცეფციას ეწინააღმდეგება შემდეგი მიდგომები: 9

2. გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერის მოდელის არსი 10

2.1. რას წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერის მოდელი? 10

2.2. რა არის გადაწყვეტილების მხარდაჭერის მოდელის მახასიათებლები? 10

2.2.1. მხარდაჭერის უნივერსალურობა 10

2.2.2. მხარდაჭერის მიმღები პირის მთავარი როლი 10

2.3. პირის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება 11

2.4. მხარდაჭერითი ზომების მრავალფეროვნება 11

2.5. დაცვითი მექანიზმების შექმნა და ფუნქციონირება 12

2.6. მხარდაჭერის სფეროები 12

2.7. მხარდაჭერის ინტენსივობა და ეტაპები 13

2.8. მხარდაჭერის მიმღებთა დაცვის მექანიზმები 14

2.9. თემზე დაფუძნებული მიდგომის აუცილებლობა 15

3. პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის პროცესი 16

3.1. სახელმძღვანელო მითითებები, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის დროს 16

3.2. ძირითადი პრინციპები, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის დროს 17

3.3. კომუნიკაცია მხარდაჭერის მიმღებ პირთან სასამართლო პროცესის მიმდინარეობის დროს 18

3.4. მხარდამჭერის შერჩევა 19

3.5. სასამართლო გადაწყვეტილება 19

4. ექსპერტიზის შეფასება პირისათვის მხარდამჭერის დანიშვნასთან დაკავშირებით 20

4.1. რა მიზანს უნდა ემსახურებოდეს ექსპერტიზა? 20

4.2. პირის ფსიქო-სოციალური საჭიროებების შეფასების რომელ მიდგომას უნდა ეფუძნებოდეს ექსპერტიზის დასკვნა? 20

4.3. პირის ფსიქო-სოციალური საჭიროებების შეფასების მიდგომები, რომელიც არ შეესაბამება კონვენციის მოთხოვნებს და არ უნდა იყოს გამოყენებული ასევე გადაწყვეტილების მხარდაჭერის მოდელის დროს 20

4.4. შეფასების განხორციელების ძირითადი პრინციპები 21

4.4.1. ქმედუნარიანობის სტატუსის ნაცვლად, მხარდაჭერის საჭიროების იდენტიფიცირება 21

4.4.2. პროცესის დაფუძნება ადამიანის უფლებების პარადიგმაზე 21

4.4.3. შშმ პირის მთავარი როლი შეფასების პროცესში 22

4.5. შეფასების განხორციელების პრაქტიკული ასპექტები 22

4.5.1. ზოგადი პრაქტიკული ასპექტები 22

4.5.2. შეფასების განხორციელების დრო და ადგილი 22

4.5.3. პირის ჩართულობის უზრუნველყოფა და კომუნიკაციის თავისებურებები 23

4.6. შეფასების პროცესის ცალკეული ეთიკური ასპექტები 23

4.7. შეფასების შედეგად შემუშავებული დასკვნის ფორმა 24

4.7.1. რას უნდა მოიცავდეს ექსპერტიზის დასკვნა? 24

შესავალი

სამართლებრივი ქმედუნარიანობის კონცეფციას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების დაცვის მიმართულებით უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია. მისი დაუბრკოლებელი განხორციელება მთელი რიგი უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. 2015 წელს საქართველოში განხორციელდა ქმედუნარიანობის რეფორმა, რის შემდეგაც ქვეყანაში მოქმედებს გადაწყვეტილების მხარდაჭერის მოდელი. რეფორმა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის გადაწყვეტილების საფუძველზე განხორციელდა, რომელმაც გააუქმა ქვეყანაში არსებული მეურვეობის სისტემა და მის ნაცვლად ახალი, გადაწყვეტილების მხარდაჭერის მოდელი შემოიტანა. ამას წინ უძღოდა 2013 წელს 26 დეკემბერს საქართველოს მიერ გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციის რატიფიცირება, რომლის მე-12 მუხლი ყველა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის თანასწორობასა და თანაბარ სამართალსუბიექტობაზე აკეთებს აქცენტს და მონაწილე ქვეყნებისგან სისტემური რეფორმების განხორციელებას მოითხოვს.

გადაწყვეტილების მხარდაჭერის მოდელი, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს პრაქტიკულ გზას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის, რათა დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილებები, შესაბამისი საჭიროების შემთხვევებში კი, ჰქონდეთ აუცილებელი მხარდაჭერა, რაც. შესაძლოა, დასჭირდეთ დამოუკიდებლად მოქმედებისთვის. მხარდაჭერის ინსტიტუტის სამართლებრივი მოდელი ეფუძნება იდეას, რომლის მიხედვითაც გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების შესაძლებლობა განსაზღვრავს ადამიანის პიროვნებას, ყოველდღიურობასა და მის სოციალურ ადგილს საზოგადოებაში. ადამიანი, რომელიც მოკლებულია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების შესაძლებლობას, ხდება უჩინარი საზოგადოებისთვის, მისი ხმა, მისი ნება – უხილავია, რაც ქმნის ამ პირებზე ძალადობის სხვადასხვა ფორმის განხორციელების წინაპირობას. ამგვარი „უხილავობისა“ და ერთგვარი „სამოქალაქო სიკვდილის“ მდგომარეობაში, კონსტიტუციით გარანტირებული უფლებები და თავისუფლებები სრულად ვერ იქნება ხელმისაწვდომი.

გადაწყვეტილების მხარდაჭერის მოდელი არის ახლებური, მეურვეობის ინსტიტუტისაგან კარდინალურად განსხვავებული მიდგომა. მეურვეობის კანონმდებლობა და პრაქტიკა, რომელიც საბჭოთა კავშირიდან მოყოლებული მოქმედებდა საქართველოში, როგორც ფორმალურად, ასევე ფაქტობრივად, სრულად ართმევდა ფსიქო-სოციალური საჭიროებებისა და ინტელექტუალური ნიშნით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების გადაწყვეტილებათა დამოუკიდებლად მიღების შესაძლებლობას. მეურვეობის ქვეშ მყოფი პირის ნებას მთლიანად ანაცვლებდა მეურვის ნება, და ამ თვალსაზრისით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს სრულად ჰქონდათ წართმეული საკუთარი სურვილისა და გადაწყვეტილების მიხედვით მოქმედების შესაძლებლობა. მხარდაჭერის ინსტიტუტი, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების უმნიშვნელოვანეს პრინციპებზე დაყრდნობით, გვთავაზობს უფრო სამართლიან, თანასწორ და ჰუმანურ ხედვას ადამიანის უფლებების ძირითად არსსა და იდეაზე.

საკანონმდებლო რეფორმამ უზრუნველყო დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობისა და ქმედუნარიანობის ახლებური, გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციასთან მეტ შესაბამისობაში მყოფი მოდელის დამკვიდრება. მხარდამჭერი, მეურვისგან განსხვავებით, არ არის უფლებამოსილი, მიიღოს გადაწყვეტილებები მხარდაჭერის მიმღები პირის სახელით. მიუხედავად ამ პრინციპული და ფუნდამენტური განსხვავებისა, საზოგადოებისთვის, რომელიც წლების განმავლობაში იცნობდა და იყენებდა მეურვეობის სისტემას, რთული აღმოჩნდა, თავი აერიდებინა ნების ავტომატური, აბსოლუტური ჩანაცვლების ძლიერი ინერციისთვის. ამის გათვალიწინებით, ქმედუნარიანობის უნივერსალური უფლება, შესაძ-

ლოა, მხარდაჭერის განხორციელებისას არათანაბარზომიერად მაღალი ხარისხით შეიზღუდოს, რაც განპირობებულია როგორც კანონმდებლობის ხარვეზებით, ისე რეფორმის განხორციელების პროცესში არსებული ინსტიტუციური და პრაქტიკული ბარიერებით.

დოკუმენტის მიზანია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციასა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით, მიმოიხილოს ის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული საკითხები, რომელიც დაკავშირებულია გადაწყვეტილების მხარდაჭერის მოდელთან და მხარდაჭერის მიმღებ პირად ცნობასთან დაკავშირებით. კერძოდ, დოკუმენტი აქცენტს აკეთებს თემებზე, რომელიც პირდაპირ უკავშირდება მხარდაჭერის დანიშვნის პროცესს, სასამართლოში განცხადების შეტანიდან სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე, როდესაც სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობასთან დაკავშირებით. გარდა უშუალოდ სასამართლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებული სტანდარტების მიმოხილვისა, დოკუმენტში საუბარია მხარდაჭერის საჭიროების შეფასებაზე, რომელიც მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია სასამართლოსთვის, მიიღოს პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის გადაწყვეტილება. შესაბამისად, დოკუმენტი საინტერესო იქნება სასამართლო სისტემაში დასაქმებული ადამიანებისთვის, განსაკუთრებით კი, მოსამართლეებისთვის.

დოკუმენტი ოთხი თავისგან შედგება. პირველი თავი მიმოიხილავს სამართლებრივი ქმედუნარიანობის არსსა და მკითხველს აწვდის ინფორმაციას, თუ რა შეიცვალა ქმედუნარიანობის პარადიგმაში კონვენციის მიღების შემდეგ. მეორე თავში საუბარია გადაწყვეტილების მხარდაჭერის მოდელის კონცეფციაზე, როგორც პრაქტიკულ საშუალებაზე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა ყოველდღიურ ცხოვრებაში ისარგებლონ სამართლებრივი ქმედუნარიანობით ცხოვრების ყველა სფეროში სხვების თანასწორად. მესამე თავი აანალიზებს ფსიქო-სოციალური საჭიროების შეფასების ძირითად მიდგომებს სხვადასხვა სფეროში მხარდამჭერის დანიშვნასთან დაკავშირებით. ბოლო, მეოთხე თავი უშუალოდ მიმოიხილავს პირისათვის მხარდამჭერის დანიშვნის პროცესს და იმ თემებს, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული მხარდამჭერის დანიშვნის საქმის წარმოების პროცესში, რათა ყველა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირმა რეალურად ისარგებლოს ეფექტიანი და მისაწვდომი მართლმსაჯულების უფლებით.

1. სამართლებრივი ქმედუნარიანობის არსი

1.1. საერთაშორისო ინსტრუმენტები, რომლებიც აღიარებს ყველა ადამიანის უფლებას სამართლებრივ ქმედუნარიანობაზე

ყველა ადამიანის თანასწორობასა და სამართლებრივი ქმედუნარიანობის აღიარებაზე საუბარი არ გვხვდება მხოლოდ გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციაში. ამ თემაზე საუბრობს ადამიანის უფლებების დაცვის თითქმის ყველა საერთაშორისო და რეგიონული ინსტრუმენტი. ისევე, როგორც სხვა უფლებების შემთხვევაში, კონვენციას არ შემოაქვს ახალი უფლებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, არამედ აწესებს დამატებით მოთხოვნებს სახელმწიფოებისთვის, რათა რეალურად იყოს შესაძლებელი ყველა შშმ პირის უფლებების დაცვა.

საერთაშორისო ინსტრუმენტები, რომლებიც აღიარებს ყველა ადამიანის უფლებას სამართლებრივ ქმედუნარიანობაზე და რომლის მონაწილეც არის საქართველოს სახელმწიფო:

- ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია;
- სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი;
- ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი;
- ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია;
- ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენცია.

1.2. რას წარმოადგენს სამართლებრივი ქმედუნარიანობა?

სამართლებრივი ქმედუნარიანობის კონცეფციის გააზრება და ადამიანის უფლებების ჭრილში მისი დანერგვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციის ერთ-ერთ ძირითად ღირებულებას წარმოადგენს. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სამართლებრივი ქმედუნარიანობის უფლებასთან მიმართებით ძირითადი პრინციპები და მიდგომები მოცემულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციის მე-12 მუხლში. კონვენციის ამ მუხლის მიხედვით, ყველა შშმ პირს აქვს სრული სამართლებრივი ქმედუნარიანობა, რომელიც სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებებით სარგებლობის წინაპირობას წარმოადგენს.

სამართლებრივი ქმედუნარიანობა ორი კომპონენტისგან შედგება. ის, ერთი მხრივ, გულისხმობს უფლებებისა და ვალდებულებების ქონის (უფლებაუნარიანობა), ხოლო, მეორე მხრივ, მათი პრაქტიკაში გამოყენების უფლებამოსილებას (ქმედუნარიანობა).

1.3. განსხვავება სამართლებრივ ქმედუნარიანობასა და მენტალურ ქმედუნარიანობას შორის

თეორიასა და პრაქტიკაში ხშირად ხდება სამართლებრივი ქმედუნარიანობისა და ე.წ. მენტალური ქმედუნარიანობის კონცეფციების აღრევა. ეს უკანასკნელი ეხება ადამიანის გადაწყვეტილების მიღების უნარებს, რომელიც ბუნებრივად განსხვავდება ადამიანებს შორის და დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, მათ შორის, გარემო და სოციალურ ფაქტორებზეც. კონცეფციებს შორის ამგვარი აღრევის შედეგად, როდესაც ადამიანის გადაწყვეტილების მიღების უნარები შეზღუდულია,

მისი სამართლებრივი ქმედუნარიანობიდან გამომდინარე, უფლება, მიიღოს კონკრეტული გადაწყვეტილებები, იგნორირებულია.

მენტალური ქმედუნარიანობის კონცეფციის საფუძველზე, სამართლებრივი ქმედუნარიანობის შეზღუდვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები მიიღება:

- ადამიანის დიაგნოზზე დაყრდნობით (სტატუსზე დაფუძნებული მიდგომა);
- იმ შემთხვევებში, როცა ადამიანი იღებს ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც მიჩნეულია მისთვის უარყოფითი შედეგის/ზიანის მომტანად (შედეგზე დაფუძნებული მიდგომა);
- როცა ადამიანის გადაწყვეტილების მიღების უნარები მიჩნეულია არასაკმარისად (ფუნქციური მიდგომა). ფუნქციური მიდგომა ცდილობს, შეაფასოს მენტალური ქმედუნარიანობა და ამ შეფასების შესაბამისად, უარყოს სამართლებრივი ქმედუნარიანობის კონცეფცია. ამგვარი მიდგომა აფასებს, თუ რამდენად შეუძლია ადამიანს, გაიგოს გადაწყვეტილების ბუნება და შედეგები ან/და გამოიყენოს და შეაფასოს რელევანტური ინფორმაცია.

ყველა ამგვარ შემთხვევაში, ადამიანის შეზღუდული შესაძლებლობა ან/და მისი გადაწყვეტილების მიღების უნარები სამართლებრივი ქმედუნარიანობის შეზღუდვისთვის ლეგიტიმურ საფუძვლად არის მიჩნეული, რაც ეწინააღმდეგება სამართლებრივი ქმედუნარიანობის იდეას და შშმ პირთა უფლებების დაცვის კონვენციის მე-12 მუხლის მოთხოვნებს. კერძოდ, მე-12 მუხლი მიემართება მხოლოდ სამართლებრივ ქმედუნარიანობას და არ მოიცავს მენტალური ქმედუნარიანობის კონცეფციას. მეტიც, კონვენცია მკაფიოდ უსვამს ხაზს, რომ მენტალური ქმედუნარიანობა არ უნდა გახდეს სამართლებრივი ქმედუნარიანობის არც ერთი ელემენტის შეზღუდვის (როგორც უფლებაუნარიანობის, ისე ქმედუნარიანობის) საფუძველი. ამასთან, კონვენცია არა მხოლოდ კრძალავს სამართლებრივი ქმედუნარიანობის მსგავს დისკრიმინაციულ შეზღუდვას, არამედ მოითხოვს ქმედუნარიანობის კონცეფციის უპირობო მხარდაჭერას.

1.4. სამართლებრივი ქმედუნარიანობის კონცეფციას ეწინააღმდეგება შემდეგი მიდგომები:

- პირს არ აქვს სრული სამართლებრივი ქმედუნარიანობა ყველა უფლებასთან მიმართებით;
- გადაწყვეტილებები მიიღება მხარდამჭერის/მეურვის მიერ და ეს გადაწყვეტილებები შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს შშმ პირის პოზიციას;
- გადაწყვეტილებები ეფუძნება პირის „საუკეთესო ინტერესებს“ და არა მის სურვილებსა და არჩევანს;
- მხარდამჭერის დამოკიდებულება მხარდაჭერის მიმღები პირის მიმართ არის პატერნალისტური.

2. გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერის მოდელის არსი

2.1. რას წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერის მოდელი?

ქმედუნარიანობით სარგებლობის უზრუნველყოფის მიზნით, ნების ჩანაცვლების სისტემის ნაცვლად, კონვენციას შემოაქვს გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერის მოდელი, რაც მნიშვნელოვანი სიახლეა შშმ პირთა უფლებების დაცვისა და მათი დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის მიმართულებით.

მხარდაჭერის მოდელი ეფუძნება იმ დაშვებას, რომ ყველა ადამიანს აქვს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების შესაძლებლობა, თუმცა, მათ შესაძლებელია ესაჭიროებოდეთ დახმარება ამ პროცესში, ისევე, როგორც საკუთარი უნარების განვითარებისა და საკუთარი უფლებებით სარგებლობისთვის. კონვენციის მე-12 მუხლის ინტერპრეტაციისას გაეროს შშმ პირთა უფლებების კომიტეტი ცალსახად უსვამს ხაზს, რომ უშუალოდ შშმ პირი უნდა იყოს გადაწყვეტილების მიმღები, ხოლო მისი მხარდამჭერის ვალდებულებაა, საჭიროების შემთხვევაში, მიაწოდოს მას რელევანტური ინფორმაცია, აუხსნას კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებული დეტალები და, ასევე, განმარტოს მისი მინიშნებები და სურვილები მესამე პირებთან კომუნიკაციის დროს.

2.2. რა არის გადაწყვეტილების მხარდაჭერის მოდელის მახასიათებლები?

2.2.1. მხარდაჭერის უნივერსალურობა

მხარდაჭერის განხორციელების ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპი ამ კონცეფციის უნივერსალური ხასიათია. იგი მისაწვდომი უნდა იყოს ყველა ადამიანისათვის, ვისაც ამის საჭიროება და სურვილი აქვს.

მხარდაჭერის უნივერსალურობის პრინციპის ცხოვრებაში ეფექტიანად გასატარებლად, აუცილებელია, შშმ პირებს ამ სერვისის შესახებ ინფორმაცია მისაწვდომი ფორმით გადასცენ – საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო პროცესზე მათ ალტერნატიული კომუნიკაციის გამოყენების საშუალებით უნდა მოუსმინონ და მიაწოდონ ინფორმაცია.

2.2.2. მხარდაჭერის მიმღები პირის მთავარი როლი

ტრადიციულად, შშმ პირებთან ნებისმიერი სახის ურთიერთობა დაფუძნებული იყო სამედიცინო მოდელსა და ე.წ. ზრუნვის პარადიგმაზე, სადაც ამ ჯგუფის წარმომადგენლები მესამე პირებზე იყვნენ დამოკიდებული და ითვლებოდნენ ზრუნვის პასიურ ობიექტებად და არა უფლებების მქონე სუბიექტებად. კონვენციის მიღებამ შეცვალა ზრუნვის პარადიგმა მხარდაჭერის კონცეფციით, რომელიც ეყრდნობა ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა ადამიანის უფლებების დაცვა, თანასწორობა და სოციალური სამართლიანობა. დამოუკიდებელი ცხოვრების უფლების ამჟამინდელი ფილოსოფია მოიცავს ისეთი ტიპის მხარდაჭერის განხორციელებას, რომელიც შშმ პირებს, მათი შეზღუდული შესაძლებლობის ტიპისა და საჭიროების მიუხედავად, მისცემს შესაძლებლობას, აკონტროლონ და წარმართონ საკუთარ ცხოვრება. შესაბამისად, მხარდაჭერის სისტემების მიერ შშმ პირთა ცხოვრების ზედმეტად დეტალური რეგულირება მიუღებელია.

გადაწყვეტილების მიღების ჩანაცვლებითი სისტემებისგან განსხვავებით, მხარდაჭერის კონცეფცია გულისხმობს მხარდაჭერის მიმღები პირის ავტონომიურობას, მისი სურვილებისა და ნების უპირობო პრიორიტეტულობასა და ცენტრალურობას, რაც თავისთავად აყალიბებს მხარდაჭერის განხორციელების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პოსტულატს – მხარდაჭერის მიმღებ პირებს აქვთ უფლება, მიიღონ ისეთი გადაწყვეტილებები, რომელსაც არ ეთანხმებიან მხარდამჭერები ან/და საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი, წავიდნენ რისკზე და დაუშვან შეცდომები.

ცხადია, შშმ პირის როლის ცენტრალურობის პრინციპი მხოლოდ გადაწყვეტილების მხარდაჭერის მიმდინარეობის პროცესით არ შემოიფარგლება. ეს კონცეფცია ასევე რელევანტურია მხარდაჭერის დანიშვნამდეც – მხარდაჭერის განხორციელების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობა სწორედ პირის მიერ მხარდაჭერის მიღების სურვილი უნდა იყოს. ამავე პრინციპის შესაბამისად, მხარდაჭერის მიმღებ პირს უნდა ჰქონდეს უფლება, ნებისმიერ დროს შეწყვიტოს მხარდაჭერის მიღება.

2.3. პირის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება

მხარდაჭერის საჭიროების მქონე ყველა პირისათვის იდენტური მხარდაჭერის გაწევა არაეფექტიანი და დისკრიმინაციულიც კი შეიძლება იყოს.

მნიშვნელოვანია, რომ მხარდაჭერის განხორციელების პროცესი ემყარებოდეს მხარდაჭერის მიმღები პირის სურვილებსა და მის ინდივიდუალურ საჭიროებებს.

გადაწყვეტილების ჩანაცვლების სისტემებისგან განსხვავებით, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ინტენსიური მხარდაჭერის შემთხვევაშიც კი, **საუკეთესო ინტერესების პრინციპის გამოყენება, ასევე, რაიმე უფლების შეზღუდვა დაუშვებელია.** ამასთან, ცალკეულ შემთხვევებში, ადამიანის სურვილებისა და ნების იდენტიფიცირება განსაკუთრებულ გამოწვევებთან შეიძლება იყოს დაკავშირებული. თუმცა, ამ დროსაც კი საუკეთესო ინტერესების კონცეფციის ნაცვლად გამოყენებული უნდა იყოს „ნებისა და სურვილების საუკეთესო ინტერპრეტაციის“ პრინციპი. ამ პრინციპის პრაქტიკაში გამოყენება სხვადასხვა ფაქტორისა და წყაროს გათვალისწინებით არის შესაძლებელი, მაგალითად – ადამიანის ცხოვრების ისტორია, მისი ღირებულებები, მის მიერ წარსულში მიღებული გადაწყვეტილებები ან/და გამოთქმული მოსაზრებები, პერსონალური სურვილები, ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციების შინაარსი და სხვა.

2.4. მხარდაჭერითი ზომების მრავალფეროვნება

მიუხედავად იმისა, რომ კონვენციაში საუბარია ქმედუნარიანობის განსახორციელებლად აუცილებელი მხარდაჭერით უზრუნველყოფის ვალდებულებაზე, არ ხდება მხარდაჭერის ფორმებისა თუ ინტენსივობის დაკონკრეტება, რაც სწორედ მხარდაჭერის კონცეფციის არაერთგვაროვანი ხასიათიდან გამომდინარეობს. მისი შინაარსი რეალურად ადამიანის სურვილებსა და საჭიროებებს ეფუძნება და ეხმიანება კონვენციის მე-3 მუხლს, რომელიც აწესებს ერთ-ერთ ფუძემდებლურ პრინციპს – განსხვავებულობისადმი პატივისცემასა და შშმ პირების აღიარებას ადამიანებს შორის არსებული მრავალფეროვნების შემადგენელ ნაწილად.

2.5. დაცვითი მექანიზმების შექმნა და ფუნქციონირება

მხარდაჭერის კონცეფციის ეფექტიანი განხორციელების ერთ-ერთი საფუძველი უფლების ბოროტად გამოყენების თავიდან აცილებაა. ნათელია, რომ უარყოფითი და არასასურველი ზეგავლენების რისკისგან არავინაა დაზღვეული, თუმცა, ეს საფრთხე ბევრად დიდია იმ ადამიანებთან მიმართებით, რომლებიც, გადაწყვეტილების მიღებისას სხვების მხარდაჭერაზე არიან დამოკიდებულები.

შესაბამისად, პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის პროცესში აუცილებელია შემუშავდეს სხვადასხვა ტიპის დაცვის გარანტიები, რომელიც იქნება პროპორციული და პირის საჭიროებაზე მორგებული, ფოკუსირდება ადამიანის უფლებებზე, სურვილებსა და არჩევანზე და იქნება თავისუფალი ინტერესთა კონფლიქტისგან ან არასასურველი ზეგავლენებისგან. უარყოფითი ზეგავლენა შეიძლება შეფასდეს ისეთი ელემენტებით, როგორებიცაა: მხარდაჭერის მიმღებსა და მხარდამჭერს შორის ურთიერთობის დროს შიში, აგრესიის, საფრთხის, მოტყუებისა თუ მანიპულაციის ნიშნები.

ერთი მხრივ, მხარდაჭერის ინსტიტუტის ეფექტიანი ფუნქციონირების, ხოლო, მეორე მხრივ, მხარდაჭერის დროს უფლების ბოროტად გამოყენებისა თუ არასასურველი ზეგავლენების პრევენციისათვის არსებითია მხარდაჭერის მიმღები პირების სათანადო ინფორმირებულობა. კომიტეტი განსაკუთრებით უსვამს ხაზს, რომ შშმ პირების დამოუკიდებელი ცხოვრების უფლების განხორციელების შეფერხების მნიშვნელოვანი მიზეზი მათთვის მისაწვდომი რელევანტური ინფორმაციის ნაკლებობაა. შესაბამისად, სასამართლოს მიერ მხარდაჭერის პროცესში ჩართული პირების სათანადო ინფორმირება ქმედუნარიანობის/მხარდაჭერის ინსტიტუტის შინაარსთან (მათ შორის, მხარდაჭერის განხორციელების სამართლებრივ და ეთიკურ სტანდარტებთან/პრინციპებთან) დაკავშირებით არსებითია. სწორედ ინფორმირების შედეგად არის შესაძლებელი, რომ პროცესში ჩართულმა ყველა პირმა სათანადოდ გააცნობიეროს თავისი უფლებამოსილებები და ფუნქციები.

2.6. მხარდაჭერის სფეროები

კონვენცია მიუთითებს შშმ პირების მიერ სამართლებრივი ქმედუნარიანობის განხორციელების უფლებაზე ცხოვრების ყველა სფეროსთან მიმართებით. შესაბამისად, იმ არეალების რაოდენობა, რომელთა მიმართებითაც პირს მხარდაჭერა სჭირდება, საკმაოდ მრავალფეროვანი შეიძლება იყოს. კერძოდ, მხარდასაჭერ სფეროებს შორის, შესაძლოა, მოიაზრებოდეს ისეთი მიმართულებები, როგორიცაა:

- პირადი ცხოვრება – პირის ოჯახური და სოციალური ურთიერთობები, განათლება და დასაქმება, საცხოვრისის არჩევა, სერვისების მიღება, დასვენება, პირადი დავები და სხვა;
- სამართლებრივი საკითხები – გარიგების დადება, ხელშეკრულებაზე ხელმოწერა, ანდერძის შედგენა და სხვა;
- ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული საკითხები – მკურნალობა, მედიკამენტების მიღება, ჰოსპიტალიზაცია, ჯანმრთელობის დაზღვევის მიღება, ჯანსაღი კვება და სხვა;
- ფინანსური საკითხები – საბანკო ანგარიშისა თუ კრედიტების მართვა, გადასახადების გადახდა, ფინანსური სარგებლის მართვა, მემკვიდრეობა და სხვა.

მიუხედავად მხარდაჭერის ამგვარი ფართო სქემისა და სფეროების ჩამონათვალისა, თითოეული მათგანის რეალიზაციასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანი გამოწვევები არსებობს, რაც სხვადასხვა ბარიერით არის გამოწვეული. მაგალითისთვის, შეუძლებელია, ზემოაღნიშნულ სფერო-

ებში გადაწყვეტილების მიღება მაშინ, როდესაც პირი იმყოფება ინსტიტუციაში და მოკლებულია საკუთარ ცხოვრებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფერო, რასთან მიმართებითაც ხშირად ხდება მხარდაჭერის საჭიროების უგულებელყოფა და ქმედუნარიანობის შეზღუდვა, ფინანსური საკითხებია, რაც გულისხმობს პირის წვდომას საკუთრებაზე, მემკვიდრეობასა თუ სხვადასხვა ტიპის ფინანსურ სერვისზე.

ჯანმრთელობის დაცვის სფეროში არასათანადო მხარდაჭერა მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს პირის დამოუკიდებლობაზე, ავტონომიასა და ქმედუნარიანობის კონცეფციით სარგებლობაზე. საერთაშორისო სტანდარტების საწინააღმდეგოდ, რომლებიც მიუთითებს პირისათვის ჯანდაცვის სერვისების გაწევის აუცილებლობაზე მხოლოდ მათი თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე, ჯანდაცვის სისტემები ხშირად პირის ნების საწინააღმდეგოდ, მესამე პირების თანხმობის საფუძველზე ახდენენ ინტერვენციებს, მათ შორის, ადამიანების ინსტიტუციონალიზაციას. არსებული მოცემულობიდან გამომდინარე, კონვენციის სტანდარტი მკაცრი და ერთმნიშვნელოვანია – სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, გააუქმონ ის სამართლებრივი რეგულაციები, რომელიც, ითვალისწინებს პირების არანებაყოფლობით ფსიქიატრიულ დახმარებასა თუ გრძელვადიანი მოვლის სერვისში განთავსებას.

2.7. მხარდაჭერის ინტენსივობა და ეტაპები

მხედველობაში, როგორიცაა, მხარდაჭერის ინტენსივობა და ეტაპები. მხარდაჭერის ინტენსივობის დადგენა, ხშირ შემთხვევაში, პირის შეფასების პროცესში ხდება. ზოგადი კლასიფიცირებით, ამგვარი ინტენსივობა შეიძლება იყოს დაბალი, საშუალო ან მაღალი, თუმცა, როგორც წესი, მხარდაჭერის განხორციელების პროცესში მისი ცვლილება არაერთხელ ხდება.

მხარდაჭერის ინტენსივობასთან ერთად, მნიშვნელოვანია მხედველობაში იყოს მიღებული მხარდაჭერის განხორციელების ეტაპები. ამ საკითხებთან მიმართებით პირის საჭიროება წინასწარ შეიძლება იყოს იდენტიფიცირებული შეფასების პროცესის მიერ, თუმცა ამ შემთხვევაშიც, შესაძლოა, არსებული მოცემულობა ბევრჯერ შეიცვალოს. მნიშვნელოვანია, სასამართლოს წარმომადგენლები ფლობდნენ ინფორმაციას, რას გულისხმობს ეფექტური მხარდაჭერა. ეს ინფორმაცია, შესაძლებელია გამოყენებული იყოს მხარდამჭერთან სასამართლო პროცესის განმავლობაში გასაუბრებისას, მისი შესაძლებლობებისა და კომპეტენციის შესამოწმებლად, იყოს ეფექტური მხარდამჭერი. სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება ამ მიმართულებით განსხვავებულ მოდელებს ადგენს, მათ შორის განსაკუთრებით საინტერესოა ისრაელისა და ლატვიის მიდგომები, რომელთა მიხედვითაც მხარდაჭერის პროცესი შემდეგი ძირითადი ეტაპებისგან შედგება:

- სურვილების იდენტიფიცირება – როგორც ზემოთ აღინიშნა, მხარდაჭერის პროცესი უნდა ეფუძნებოდეს მხარდაჭერის მიმღები პირის ნებასა და სურვილებს, შესაბამისად, პირველ რიგში, არსებითია მათი იდენტიფიცირება. ამ ეტაპზე მხარდამჭერსა და მხარდასაჭერ პირს შორის მყარდება ინტენსიური კომუნიკაცია, რაც ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობის აუცილებელი წინაპირობაა. ცალკეულ შემთხვევაში, პირის მიერ გამოთქმული სურვილები მხარდამჭერმა, შესაძლოა, არარეალისტურადაც კი მიიჩნიოს, თუმცა, მნიშვნელოვანია ამ ეტაპზე მისი როლის გააზრება – განსჯის ნაცვლად, იგი უნდა დაეხმაროს მხარდასაჭერ პირს, გაიაზროს საკუთარი სურვილები და მიიღოს ინფორმაცია შესრულების პროცესში შესაძლო გამოწვევებისა და მათი დაძლევის გზების შესახებ.
- ინფორმაციის შეგროვება – მას შემდეგ, რაც პირის ნება და სურვილები იქნება იდენტიფიცირებული, მნიშვნელოვანია შესაძლო არჩევანის შესახებ (მათ შორის, დადებით და უარყოფით მხარეებთან დაკავშირებით) სრულყოფილი ინფორმაციის მოძიება.

- სხვადასხვა არჩევანის გააზრება – თითქმის ყველა შემთხვევაში, კონკრეტულ მიზანთან დაკავშირებით რამდენიმე სხვადასხვა არჩევანის იდენტიფიცირებაა შესაძლებელი. გადაწყვეტილების მიღების ეს ეტაპი ყველაზე სენსიტიურია და გულისხმობს მხარდასაჭერი პირების მიერ სხვადასხვა არჩევანის გააზრებას, მათი დადებითი და უარყოფითი მხარეების ანალიზს, ისევე, როგორც გადაწყვეტილებისგან თავის შეკავების სავარაუდო შედეგების დანახვას. ამ ეტაპზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მხარდამჭერის მიერ ნეიტრალურობისა და ეთიკური სტანდარტების დაცვა მხარდაჭერის მიმღებზე არასათანადო ზეგავლენის თავიდან აცილების მიზნით.
- გადაწყვეტილების მიღება – ეს მთავარი ეტაპია მხარდაჭერის პროცესში. მხარდამჭერის ფუნქცია ამ შემთხვევაში არის პირის დახმარება, მიიღოს გადაწყვეტილება, გაიაზროს და დაგეგმოს შესრულების პროცესი.
- გადაწყვეტილების შესრულება – მხარდაჭერის პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი მიღებული გადაწყვეტილების შესრულებაა. აქ მხარდამჭერებს სხვადასხვა როლი შეიძლება დაეკისროთ. მათ შორისაა, გადაწყვეტილების შესრულების გზების ძიება და ამ პროცესში მხარდაჭერა, პირის შესაბამის სერვისებში გადამისამართება და სხვ.
- განხორციელებული ქმედების შეფასება – ამ დროს ხდება წინარე ეტაპების, მათ შორის, მიღებული გადაწყვეტილებისა და განხორციელებული ქმედებების შეფასება (მათ შორის, მესამე პირებთან მიმართებით). ეს ეტაპი მხარდასაჭერ პირს ეხმარება, პირველ რიგში, უკეთესად დარწმუნდეს საკუთარ გადაწყვეტილებაში, ან მოახდინოს იმის იდენტიფიცირება, თუ რის შეცვლას ისურვებდა მომავალში.

2.8. მხარდაჭერის მიმღებთა დაცვის მექანიზმები

მხარდაჭერის სისტემაში ერთ-ერთი მთავარი როლი მხარდაჭერის მიმღები პირის მიერ უფლებების განხორციელების პროცესში შესაბამისი დაცვის საშუალებებს ეკისრება. ამ მექანიზმს პირდაპირ ითვალისწინებს კონვენციის მე-12 (4) მუხლი, რომელიც ითხოვს შესაბამისი და ეფექტიანი დაცვის გარანტიების არსებობას უფლების ბოროტად გამოყენების აღკვეთის მიზნით. სწორედ ამგვარმა მექანიზმებმა უნდა განსაზღვროს, რომ ქმედუნარიანობის უზრუნველყოფის ზომები ორიენტირებული იყოს პირის უფლებებზე, არჩევანსა და სურვილზე, თავისუფალი იყოს ინტერესთა კონფლიქტისა და არასათანადო ზეგავლენისგან, მორგებული იყოს ინდივიდის პირად საჭიროებებს, გამოიყენებოდეს მინიმალური დროით, რეგულარულად მოწმდებოდეს კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს მიერ და იყოს პროპორციული. კონვენციაზე შორს მიდის კომიტეტი, რომელიც განმარტავს არასათანადო ზეგავლენის კონცეფციას. იგი მიუთითებს, რომ ამგვარ შემთხვევებს მაშინ აქვს ადგილი, როდესაც მხარდამჭერსა და მხარდაჭერის მიმღებ პირს შორის ურთიერთობაში შეინიშნება შიშის, აგრესიის, მუქარის, მოტყუებისა თუ მანიპულაციის ნიშნები.

დაცვის კონკრეტული ზომების განხილვამდე მნიშვნელოვანია ამგვარი მექანიზმების როლის გააზრება – ისინი მიზნად ისახავს მხარდაჭერის მიწოდების პროცესში პირის დაცვას და არა მის მიერ რისკის აღებისა და შეცდომების დაშვების პრევენციას. საერთაშორისო სტანდარტებისა და ქვეყნების გამოცდილების შესაბამისად, დაცვის მექანიზმებად შესაძლოა გამოიყენებოდეს შემდეგი ზომები:

- შშმ პირებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, აირჩიონ ორი ან მეტი მხარდამჭერი ან/და მიიღონ სხვა ტიპის მხარდაჭერაზე წვდომაც, რაც არასათანადო ზეგავლენის რისკებს მნიშვნელოვნად ამცირებს. მათვე უნდა მიენიჭოთ უფლება, აქტიურად იყვნენ ჩართულნი პროცესში და ნებისმიერ დროს უარი თქვან მხარდაჭერაზე.

- მხარდაჭერის პროცესზე უნდა დაწესდეს დროითი ლიმიტი და დადგინდეს მისი გადახედვის წესი, ასევე, უნდა განისაზღვროს ამგვარ შემთხვევებზე მონიტორინგის/ზედამხედველობის ჩარჩო.
- კანონმდებლობამ და პრაქტიკამ უნდა გაითვალისწინოს ინტერესთა კონფლიქტის აცილების საშუალებები. მათ შორის, ამ მიზნით, მნიშვნელოვანია, კანონმდებლობამ დაარეგულიროს, თუ ვინ შეიძლება იყოს მხარდამჭერი და ვის არ უნდა დაეკისროს ამგვარი ფუნქციები.
- კანონმდებლობამ და პრაქტიკამ უნდა გაითვალისწინოს მხარდაჭერის პროცესში მხარდაჭერის მიმღები პირისათვის ან მესამე მხარისათვის რისკის შექმნისა ან/და ზიანის მიყენების შემთხვევები და ცხადად გაწეროს ამ დროს მხარდამჭერის პასუხისმგებლობები. აქ მნიშვნელოვანია მხედველობაში იყოს მიღებული ისეთი საკითხები, როგორიცაა, მხარდამჭერის მიერ სისხლის სამართლის სავარაუდო დანაშაულის შეტყობინების ვალდებულება (რომელიც ზოგადად არსებობს ქვეყნის შიდა სამართლებრივ სისტემაში და ყველა პირს მიემართება), ასევე, მხარდაჭერის სისტემაში შიდა შეტყობინების მექანიზმის არსებობა, რომლის მეშვეობითაც მოხდება რისკებთან დაკავშირებული დილემების განხილვა და ამით თავიდან იქნება აცილებული რთულ სიტუაციებში მხარდამჭერის მარტო დარჩენა.

2.9. თემზე დაფუძნებული მიდგომის აუცილებლობა

ქმედუნარიანობის კონცეფცია მჭიდროდაა დაკავშირებული დამოუკიდებელი ცხოვრებისა და საზოგადოებაში მონაწილეობის უფლებასთან. ერთი მხრივ, ქმედუნარიანობა განაპირობებს შშმ პირის დამოუკიდებლობისა და საკუთარი ცხოვრების შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლების რეალიზებას, ხოლო, მეორე მხრივ, პირის დამოუკიდებლად, თემში ცხოვრება არის ქმედუნარიანობისა და სხვა უფლებების განხორციელების წინაპირობა.

ქმედუნარიანობის განსახორციელებლად აუცილებელი მხარდაჭერა პირს თემზე დაფუძნებული მიდგომის შესაბამისად უნდა გაეწიოს, რომელიც პატივს სცემს შშმ პირების სურვილებსა და პრიორიტეტებს. იმისათვის, რომ სრულად მოხდეს ქმედუნარიანობისა და მხარდაჭერის სისტემის დანერგვა, იმპერატიულია შშმ პირებისათვის შესაძლებლობის მიცემა, ჩამოაყალიბონ და გამოხატონ თავიანთი სურვილები და პრიორიტეტები. ამის მისაღწევად კი აუცილებელია, რომ ეს ადამიანები თემში ცხოვრობდნენ, განსაკუთრებით, თუ გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობასა და დამოუკიდებელი ცხოვრების უნარებზე ინსტიტუციონალიზაციის მძიმე ზეგავლენას გავითვალისწინებთ.

3. პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის პროცესი

მართლმსაჯულების მისაწვდომობა, სასამართლოების შენობების მისაწვდომობის გარდა, პირველ რიგში გულისხმობს სასამართლო განხილვების პროცესში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების გათვალისწინებას, ინფორმაციის მისაწვდომობას, მოსამართლეთა და სასამართლო სისტემის ცოდნას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის ძირითადი პრინციპების შესახებ.

3.1. სახელმძღვანელო მითითებები, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის დროს

სამართლებრივი ქმედუნარიანობის აღდგენისა და პრაქტიკაში მისი ეფექტური გამოყენების მიზნით, შემუშავდა სპეციალური დოკუმენტი, ,,საერთაშორისო პრინციპები და სახელმძღვანელო მითითებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მართლმსაჯულების მისაწვდომობასთან დაკავშირებით“[1], რომელიც სახელმწიფოებისგან მოითხოვს შემდეგი ქმედებების განხორციელებას მართლმსაჯულების მისაწვდომობასთან დაკავშირებით:

- უზრუნველყონ ყველა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სამართლებრივი ქმედუნარიანობის უფლება და მისი პრაქტიკაში ეფექტიანად გამოყენების შესაძლებლობა;
- აღიარონ და უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სრული ქმედუნარიანობა სასამართლო განხილვის ყველა ეტაპზე;
- უზრუნველყონ, რომ ისეთი მიდგომები, როგორიცაა ,,კოგნიტური ქმედუუნარობა“ და ,,მენტალური ქმედუნარიანობა“, რომელიც გამოიყენება ფუნქციური და ფსიქიკური ჯანმრთელობის სტატუსის შეფასებისას, არ გამოიყენებოდეს პირის სამართლებრივი ქმედუნარიანობის შეზღუდვის მიზნით;
- არ გამოიყენონ პრაქტიკაში დამკვიდრებული ისეთი მიდგომა, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ ზღუდავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სამართლებრივ ქმედუნარიანობას, მათ შორის, იმ პირების შემთხვევაში, რომელთა მიმართ გამოიყენება ჩანაცვლებითი მიდგომა და რის გამოც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ვერ სარგებლობენ მართლმსაჯულების მისაწვდომობის უფლებით სხვების თანასწორად;
- არ გამოიყენონ პრაქტიკაში დამკვიდრებული ისეთი მიდგომა, რომელიც აწესებს სასამართლოსთვის მიმართვის შეზღუდვას, რაც გამორიცხავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს მათი სამართლებრივი ქმედუნარიანობის განმსაზღვრელი საქმის წარმოების პროცესში მონაწილეობისგან;
- არ გამოიყენონ პრაქტიკაში დამკვიდრებული ისეთი მიდგომა, რომელიც უკრძალავს მოწმე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ჩვენების მიცემის შესაძლებლობას სამართლებრივ ქმედუნარიანობაზე მითითების საფუძვლით;
- არ გამოიყენონ პრაქტიკაში დამკვიდრებული ისეთი მიდგომა, რომელიც სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებს აძლევს ძალაუფლებას, იყვნენ წამყვანი ექსპერტები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სამართლებრივი ქმედუნარიანობისა და გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობის განსაზღვრის საკითხებთან დაკავშირებით;

1 “International principles and guidelines on access to justice of persons with disabilities”, UN Special Procedures, 2020

- არ გამოიყენონ პრაქტიკაში დამკვიდრებული ისეთი მიდგომა, რომელიც ართმევს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს სამართლებრივი დავების დაწყებისა და წარმართვის შესაძლებლობას;
- შექმნან მოქმედი და აღსრულებადი პროცედურები, რაც შესაძლებლობას მისცემს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, მიიღონ ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული მომსახურება, რათა შეძლონ სასამართლო განხილვის ყველა ეტაპზე ეფექტურად ჩართვა;
- უზრუნველყონ შუამავალი პროფესიონალების ან ფასილიტატორების მომსახურების მიწოდება, სადაც ამის საჭიროებაა, რათა სასამართლოსა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს შორის დამყარდეს ეფექტური კომუნიკაცია, რომელიც შესაძლებელს გახდის სასამართლო განხილვის ყველა ეტაპზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ეფექტურ ჩართულობასა და მონაწილეობას;
- უზრუნველყონ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რომელთაც რაღაც მიზეზის გამო შეზღუდული აქვთ ქმედუნარიანობა, ჰქონდეთ უფლება, გაასაჩივრონ ან მოითხოვონ სამართლებრივი ქმედუნარიანობის აღდგენა და ამ პროცესში ხელი მიუწვდებოდეთ ადვოკატის მომსახურებაზე.

3.2. ძირითადი პრინციპები, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის დროს

პირისათვის მხარდამჭერის დანიშვნის, მხარდაჭერის სფეროებისა და ფარგლების განსაზღვრის პროცესში მნიშვნელოვანია, სასამართლო ხელმძღვანელობდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციით განსაზღვრული პრინციპებით. სასამართლო გადაწყვეტილება ამ მხრივ შეიძლება ეფუძნებოდეს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების პრეზუმფციას და ამ პროცესში შესაძლო მხარდაჭერის განხორციელების საჭიროებას, რომელიც სხვანაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს ნების თავისუფლების, ავტონომიურობის, პლურალიზმისა და ადაპტირებადი მხარდაჭერის პრინციპების სახით.

- **ნება და სურვილები** – თითოეულ ადამიანს აქვს სურვილები და მისწრაფებები, რომელთა გამოხატვაც შესაძლებელია და რომელთა გავლენითაც ესა თუ ის ინდივიდი იწყებს მოქმედებას გადაწყვეტილებათა მისაღებად, რათა სწორედ ზემოაღნიშნული სურვილებისა და მისწრაფებების შესაბამისად წარმართოს საკუთარი ცხოვრება.
- **თავისუფლება** – თითოეულ ადამიანს აქვს უფლება, საკუთარი სურვილებისა და პრეფერენციების შესაბამისად წარმართოს თავისი ცხოვრება, მიიღოს აუცილებელი მხარდაჭერა შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურებისა თუ მესამე პირთა მხრიდან, როცა ამგვარი მხარდაჭერის განხორციელების ვალდებულება წარმოიშობა. სამართლებრივი ქმედუნარიანობა, როგორც საზოგადოებაში ინტეგრაციისა და სრულფასოვანი ცხოვრების აუცილებელი სამართლებრივი წინაპირობაა, ნებისმიერი ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა.
- **პლურალიზმი** – არ არსებობს მხოლოდ ერთი „სწორი“ ფორმა ამა თუ იმ გადაწყვეტილების მისაღებად. შესაბამისად, ვერ იარსებებს ვერავითარი პროფესიონალური კრიტერიუმი საიმისოდ, რომ ჩამოყალიბდეს საზოგადო, შაბლონური სტანდარტი სხვადასხვა საჭიროებების მქონე მხარდაჭერის მიმღებ პირთათვის. მხარდაჭერის ფარგლები ცალკეულ შემთხვევაში ინდივიდუალურად, მხარდაჭერის მიმღები პირის კონკრეტული საჭიროებებიდან გამომდინარე უნდა განისაზღვროს.
- **ადაპტირებადი მხარდაჭერა** – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებლობის, ავტონომიისა და ქმედუნარიანობის უფლების განხორციელება საჭიროებს ადაპტირებად მხარდაჭერას სახელმწიფოსა და საზოგადობის მხრიდან. ეს, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს, რომ მხარდაჭერის ბუნებას მხარდაჭერის მიმღების ინდივიდუალური საჭირო-

ებები განსაზღვრავს. სხვადასხვა ადამიანს, შესაძლოა, განსხვავებული სახის მხარდაჭერა სჭირდებოდეს სოციალური ცხოვრების სხვადასხვა ასპექტში, შესაბამისად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მხარდაჭერის სერვისები მორგებული იყოს კონკრეტულ პიროვნებათა საჭიროებებზე.

3.3. კომუნიკაცია მხარდაჭერის მიმღებ პირთან სასამართლო პროცესის მიმდინარეობის დროს

სასამართლოს წარმომადგენლების მიერ მხარდაჭერის სავარაუდო მიმღებთან კომუნიკაციის დამყარება სასამართლო პროცესში მისი ეფექტური ჩართვისა და მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, მართლმსაჯულების მისაწვდომობის აუცილებელი პირობაა. კომუნიკაცია არის ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი ეფექტური მხარდაჭერის გაწევისთვის და გადაწყვეტილების მიღებისთვისაც. კომუნიკაცია არის ორმხრივი პროცესი – ერთი პირი აგზავნის მესიჯს/ინფორმაციას და მეორე პირი იგებს მას და იღებს. კონკრეტული კომუნიკაციის არხის დასამყარებლად, ადამიანები იყენებენ კომუნიკაციას სიტყვებით, საგნებით, ფოტოებით, ნახატებით, სიმბოლოებითა და ჟესტებით. კომუნიკაციის წარმატებისთვის, არსებითია ფოკუსირება პირზე და იმის განსაზღვრა, თუ კომუნიკაციის რომელი მეთოდი შეესაბამება საუკეთესოდ მას.

ვერბალური კომუნიკაციის გარდა, არსებობს ალტერნატიული (სისტემა, რომელიც გამოიყენება მეტყველების ნაცვლად) და დამატებითი (სისტემა, რომელიც გამოიყენება მეტყველებასთან ერთად) კომუნიკაციის ფორმები. ალტერნატიული და დამატებითი კომუნიკაციის ფორმები მრავალფეროვანია და საჭიროა შეფასდეს, რომელი სისტემა მიესადაგება ადამიანს ყველაზე მეტად. ალტერნატიული და დამატებითი კომუნიკაცია საჭიროებს მხარდაჭერასა და ახალი სისტემების შეთავაზებას, კერძოდ:

- დახმარების გარეშე: ჟესტები, სახის გამომეტყველებები;
- დახმარების საჭიროების მქონე: დამხმარე საშუალებები. მაგალითად, სურათები, კომპიუტერები ან სპეციალური კომუნიკაციის დამყარების მოწყობილობები.

კომუნიკაციის ალტერნატიული ფორმები შესაძლებელია საჭირო გახდეს სასამართლო პროცესზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, მათ შორის, ინტელექტუალური ნიშნით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან კომუნიკაციის დასამყარებლად. შეიძლება პირს ჰქონდეს სირთულე, გამოხატოს საკუთარი სურვილები და უპირატესობები და გააცნოს ისინი სხვა ადამიანებს. ზოგიერთ ადამიანს, მაგალითად, ესაჭიროება კომუნიკაციის მოწყობილობები ან ადამიანს, რომელიც ატარებს გასაუბრებას, შესაძლოა დასჭირდეს სპეციალური ტექნიკების გამოყენება, რათა მისი სურვილები გაიგოს.

გაუწიო მხარდაჭერა ვინმეს გადაწყვეტილების მიღების ან არჩევანის გაკეთების პროცესში, პირდაპირ უკავშირდება იმას, თუ რამდენად შეგიძლია გაუგო ამ ადამიანს. შეგეძლოს გაუწიო კარგი და ღირებული მხარდაჭერა, გაიგო მისი სურვილი, ინტერესები, დამოკიდებულებები, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ უსმენ მას და ინტერესდები, რა სურს მას რეალურად. სწორედ ამ მიდგომას უნდა ეფუძნებოდეს სასამართლოს ურთიერთობა მხარდაჭერის სავარაუდო მიმღებთან, რათა რეალურად მოახერხოს მოსამართლემ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მასთან კომუნიკაციის დამყარება და მისი მოსმენა.

3.4. მხარდამჭერის შერჩევა

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც სასამართლომ უნდა შეისწავლოს პროცესის განმავლობაში, არის მხარდაჭერის მიმღები პირისა და მხარდამჭერის თავსებადობა, მათ შორის ინტერესთა კონფლიქტის არარსებობა, პირის შესაძლებლობა, იყოს ეფექტური მხარდამჭერი კონკრეტულ სფეროში და მათ შორის ნდობის არსებობა, რომელიც ერთ-ერთი წამყვანი კრიტერიუმი უნდა იყოს სასამართლოს მიერ მხარდამჭერისა და მხარდაჭერის მიმღები პირის თავსებადობის შეფასების დროს.

გადაწყვეტილების მხარდაჭერის მოდელის ნებისმიერი მიდგომა უნდა პასუხობდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის საჭიროებებს. შესაბამისად, მხარდამჭერი პირების შერჩევა უნდა ხდებოდეს უშუალოდ ამ პირის მიერ. უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ ადამიანს, რომელსაც მხარდაჭერის სავარაუდო მიმღები პირი იცნობდა უფრო მეტი დროის განმავლობაში. ამასთან, დასაშვები უნდა იყოს რამდენიმე მხარდამჭერი პირის დანიშვნა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ დროს, როდესაც პირს აქვს შედარებით ინტენსიური მხარდაჭერის საჭიროება. ასეთ დროს, რამდენიმე მხარდამჭერმა, რომელთაც იციან პირის სხვადასხვა შესაძლებლობა, შესაძლებელია უკეთესად გაიგონ მისი სურვილები და მხარდაჭერის საჭიროებები.

3.5. სასამართლო გადაწყვეტილება

მნიშვნელოვანია, გადაწყვეტილება პირისათვის მხარდამჭერის დანიშვნასთან დაკავშირებით იყოს დასაბუთებული და მასში აუცილებლად ფიქსირდებოდეს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით მხარდაჭერის სავარაუდო მიმღების დამოკიდებულება/სურვილები. კერძოდ, გადაწყვეტილება გარდა კანონმდებლობით დაწესებული ზოგადი მოთხოვნებისა, უნდა პასუხობდეს შემდეგ საკითხებს:

- ზოგადი ინფორმაცია პირისა და მისი გარემოს შესახებ;
- სფეროები ან სიტუაციები, რომელშიც პირს აქვს სირთულეები მიიღოს გადაწყვეტილება;
- სფეროები ან სიტუაციები წარსულში, რომელშიც პირს ჰქონდა სირთულეები მიეღო გადაწყვეტილება;
- პირის დამოკიდებულებები სფეროებისა და სიტუაციების შესახებ (მიაჩნია, თუ არა, რომ მხარდაჭერა იქნება კარგი ამ პროცესში);
- პირის ძლიერი მხარეები/რესურსები;
- გარემოს დამოკიდებულება ამ სირთულეების მიმართ;
- გარემოს რესურსები;
- და ყველა ის საკითხი, რომელიც მოცემულ ინდივიდუალურ შემთხვევაში მნიშვნელოვანი იქნება გადაწყვეტილების დასასაბუთებლად;
- გადაწყვეტილება არ უნდა იყოს ძალიან ზოგადი ან ზედმეტად კონკრეტული, რომელიც პრაქტიკაში გაართულებს პირის მიერ საკუთარი უფლებებით ეფექტურად სარგებლობის შესაძლებლობას.

4. ექსპერტიზის შეფასება პირისათვის მხარდამჭერის დანიშვნასთან დაკავშირებით

4.1. რა მიზანს უნდა ემსახურებოდეს ექსპერტიზა?

პირისათვის მხარდამჭერის დანიშვნის პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტს, გარდა სასამართლო პროცესზე მხარეთა მიერ დაფიქსირებული პოზიციებისა, ექსპერტიზის შეფასება წარმოადგენს. სამართლებრივი ქმედუნარიანობის გარანტირებისას მხარდაჭერის საჭიროების მქონე ყველა პირისთვის ინდივიდუალურად უნდა განისაზღვროს გადაწყვეტილების მიღების პროცესში შესაბამისი მხარდაჭერის ფარგლები და სფეროები, წინააღმდეგ შემთხვევაში, მიწოდებული მხარდაჭერის არაეფექტიანობა გარდაუვალი იქნება.

ექსპერტიზის ბიუროს მიერ პირის გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული საჭიროებების განსაზღვრის სწორად წარმართვა არსებითად განაპირობებს შემდგომი ეტაპების (პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერის გაწევა, მხარდაჭერის შემთხვევების მონიტორინგი) ეფექტიანობას. სწორედ შეფასებისას გამოიკვეთება, თუ რა სახის მხარდაჭერა ესაჭიროება ადამიანს გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით, რის შედეგადაც სახელმწიფომ უნდა განსაზღვროს ამ საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის აუცილებელი მომსახურება.

4.2. პირის ფსიქო-სოციალური საჭიროებების შეფასების როგელ მიდგომას უნდა ეფუძნებოდეს ექსპერტიზის დასკვნა?

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციის მიღებამდე, კანონმდებლობასა და პრაქტიკაში ძირითადად პირის ფსიქო-სოციალური შეფასების სამედიცინო მოდელი იყო დამკვიდრებული, როდესაც ინდივიდის სამართლებრივი ქმედუნარიანობით სარგებლობა, ისევე, როგორც შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მინიჭება, სამედიცინო დიაგნოზს ეფუძნებოდა. კონვენციამ, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს შშმ პირთა უფლებების დაცვისა და უფლებით სარგებლობის ძირითადი პრინციპების განსაზღვრის მიმართულებით, სრულად შეცვალა ეს მიდგომა და მისი მოთხოვნით, პირის საჭიროებების შეფასება ცალსახად სოციალურ და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მოდელს უნდა ემყარებოდეს. ამ მიდგომის მიხედვით, პირის სამედიცინო დიაგნოზის დადგენა შეიძლება გარკვეულ შემთხვევაში საჭირო იყოს პირის საჭიროებების იდენტიფიცირების დროს, მაგრამ ის არ არის ამოსავალი, რომელსაც პირის შეზღუდული შესაძლებლობა შეიძლება დაეფუძნოს. სოციალური მოდელი, სამედიცინო მოდელისგან განსხვავებით, განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს იმ ბარიერებზე, რომელიც არსებობს საზოგადოებაში და ხელს უშლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, სხვების თანასწორად ისარგებლონ და განახორციელონ საკუთარი უფლებები.

4.3. პირის ფსიქო-სოციალური საჭიროებების შეფასების მიდგომები, რომელიც არ შეესაბამება კონვენციის მოთხოვნებს

1. ***სტატუსზე დაფუძნებული მიდგომა*** – პირის ქმედუნარიანობისა და გადაწყვეტილების მიღების უფლების შეზღუდვას დიაგნოზზე დაყრდნობით.

2. ***შედეგით განპირობებული მიდგომა*** – ქმედუნარიანობის შეზღუდვა, როდესაც მიიჩნევა, რომ პირის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გაუმართლებელია და უარყოფით შედეგებს გამოიწვევს;

3. ***ფუნქციონალური მიდგომა*** – გადაწყვეტილების მიღების უნარების შეფასება, დეფიციტის დადგენა და ამის საფუძველზე უფლებებით სარგებლობის საშუალების შეზღუდვა. ფუნქციონალური მოდელი ხარვეზიანად მიაჩნია ორი ძირითადი გარემოების გამო:

- დისკრიმინაციულად მიემართება შშმ პირებს;
- მიიჩნევს, რომ შესაძლებელია, მოხდეს ადამიანის გონებრივი ფუნქციის ზუსტი შეფასება და ამ არასრულყოფილი პროცესის შედეგად, პირებს ართმევს გადაწყვეტილების მიღების უფლებას.

4.4. შეფასების განხორციელების ძირითადი პრინციპები

4.4.1. ქმედუნარიანობის სტატუსის ნაცვლად, მხარდაჭერის საჭიროების იდენტიფიცირება

შეფასების პროცესის ერთ-ერთი ძირითადი გამოწვევა თეორიასა თუ პრაქტიკაში მისი დანიშნულების არასათანადო და კონვენციასთან შეუსაბამო განმარტებაა. არაერთ შემთხვევაში, იგი დანახულია არა როგორც პირის მხარდაჭერის საჭიროების განსაზღვრა, არამედ მისთვის ქმედუნარიანობის სრული ან ნაწილობრივი შეზღუდვის საფუძველი.

კანონმდებლობასა თუ პრაქტიკაში დამკვიდრებული ამგვარი პრაქტიკა არ შეესაბამება სამართლებრივი ქმედუნარიანობის კონცეფციას, რომელიც გამორიცხავს შეფასების ნებისმიერ სისტემას, რომელიც პირის ქმედუნარიანობის არსებობისა თუ არარსებობის დადგენისკენ არის მიმართული. სწორედ ამ მიზნით იმიჯნება ერთმანეთისგან სამართლებრივი და მენტალური ქმედუნარიანობა. ამ მიდგომის მიხედვით პირის გადაწყვეტილების მიღების უნარები მისი ქმედუნარიანობის სტატუსზე რაიმე სახის ზეგავლენას არ ახდენს. კერძოდ, მენტალური ქმედუნარიანობის კონცეფცია მთლიანად უკავშირდება გადაწყვეტილების მიღების უნარებს, რაც დროსა და კონტექსტში განსხვავებულია და მისი ვარიაცია სახეზეა მიუხედავად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის არსებობისა. მეორე მხრივ, სამართლებრივი ქმედუნარიანობა სამართლებრივი კონცეფციაა და გულისხმობს პირის მიერ უფლებების ქონას, სარგებლობას და მისი ქმედებებისათვის სამართლებრივი ეფექტის აღიარებას.

4.4.2. პროცესის დაფუძნება ადამიანის უფლებების პარადიგმაზე

შეფასების პროცესში ადამიანის უფლებებზე ზედმიწევნითი ორიენტირება აუცილებელია, რამდენადაც სწორედ ეს განაპირობებს კონკრეტული პირების მიერ ძირითად უფლებებზე წვდომასა და სარგებლობას. არსებითია, რომ შეფასების ეტაპზე პირი დავინახოთ, როგორც საზოგადოების სრულფასოვანი წევრი.

ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომებზე საუბრისას, უმნიშვნელოვანესია კონვენციის პრინციპების აღნიშვნა და შეფასების პროცესში მათი უპირობო გამოყენების ხაზგასმა. გადაწყვეტილების მიღებასთან მიმართებით საჭიროებების იდენტიფიცირება უნდა ეფუძნებოდეს ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა, მაგალითად, დისკრიმინაციის აკრძალვა, მრავალფეროვნებისა და ჰუმანურობის იდეების პატივისცემა, თანასწორობა. ადამიანის უფლებების პარადიგმისა და კონვენციის ღირებულებების გათვალისწინებით, ერთ-ერთი არსებითი საკითხი, რაც მხედველობაში უნდა იყოს მიღებული, შეფასებას დაქვემდებარებული პირის ღირსების დაცვაა.

დამატებით, შეფასების დროს არსებითია, დაცული იყოს პროპორციულობა, რაც გულისხმობს ადამიანის პირადი ცხოვრების დაცვასა და პატივისცემას, შესაბამისად, საჭიროების გარეშე, ამ სფეროში ჩარევის მინიმიზებას. მნიშვნელოვანია, რომ შეფასებისას გათვალისწინებული იყოს მთელი რიგი პროცესუალური ასპექტებიც. მათ შორისაა, პროცესში ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვა, შესაფასებელი პირის პერსონალური ინფორმაციის პატივისცემა და კონფიდენციალობის დაცვა, ასევე, ამ ადამიანის მიმართ საზოგადოების სხვა წევრების მსგავსი მოპყრობა/დამოკიდებულება (ე.წ. ნორმალიზაციის პრინციპი/მიდგომა).

4.4.3. შშმ პირის მთავარი როლი შეფასების პროცესში

შეფასების პროცესში პირის მთავარი როლის გააზრება მისი საჭიროებების იდენტიფიცირებისას უპირობო პრიორიტეტად უნდა იქნეს მიჩნეული. პროცესში ჩართულმა მხარეებმა მხედველობაში უნდა მიიღონ პირის ავტონომიურობის მნიშვნელობა, რაც, მათ შორის, გულისხმობს იმას, რომ მხოლოდ შშმ პირებს (და არა მხარდამჭერს ან/და მისი ოჯახის წევრს) აქვს უფლებამოსილება, საკუთარ ცხოვრებასთან დაკავშირებით მიიღონ გადაწყვეტილება. მეტიც, ისევე, როგორც საზოგადოების სხვა წევრებს, **მათ აქვთ შეცდომის დაშვებისა და „არაპოპულარული“ გადაწყვეტილებების მიღების უფლება.**

4.5. შეფასების განხორციელების პრაქტიკული ასპექტები

4.5.1. ზოგადი პრაქტიკული ასპექტები

შეფასებაზე პასუხისმგებელმა პირებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ:

- გადაწყვეტილების მიღების უნარები სხვადასხვა დროსა და საკითხთან მიმართებით განსხვავდება;
- პირის გადაწყვეტილების მიღების უნარები არ უნდა შეფასდეს მისი ასაკის, გარეგნობისა თუ ქცევის თავისებურებების გათვალისწინებით;
- პირის გადაწყვეტილების მიღების უნარები არ უნდა შეფასდეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შინაარსის მიხედვით, შემფასებლის მიერ ამგვარი გადაწყვეტილების არაგონივრულად მიჩნევის შედეგად;
- შეფასება უნდა განხორციელდეს სანდო და თანამშრომლობით გარემოში;
- შეფასების განხორციელების დროს პირის ავტონომია და პირადი სივრცე უპირობო დაცვით უნდა სარგებლობდეს;
- შეფასება უნდა იყოს მაქსიმალურად მოქნილი და უნდა იყოს გათვალისწინებული პირის ცხოვრების ისტორია, მათ შორის, მისი კულტურული და ლინგვისტური კუთვნილება.

4.5.2. შეფასების განხორციელების დრო და ადგილი

შეფასების პროცესში მნიშვნელოვანია მისი განხორციელების დრო და ადგილი/გარემო, რაც გულისხმობს ისეთი დროისა და გარემოს შერჩევას, სადაც ყველაზე ზუსტად იქნება შესაძლებელი პირის შეფასება. კერძოდ, ამ პროცესში გასათვალისწინებელია ის სოციალური და ფსიქოლოგიური ფაქტორები, რომლებიც პირში, შესაძლოა, დამატებით სტრესს იწვევდნენ. შესაბამისად, არსებითია, რომ შეფასება ისეთ გარემოში განხორციელდეს, სადაც შემცირებულია ხმაური, სტრესული სიტუაციები და შეფასებას დაქვემდებარებული პირი თავს მშვიდად და დაცულად იგრძნობს. მაგალითად, საოჯახო გარემოში შეფასების განხორციელება თითქმის ყოველთვის უფრო ეფექტიანია, ვიდრე ექსპერტიზის პირისთვის უცნობ გარემოში ჩატარება.

შეფასების განხორციელების დრო უმნიშვნელოვანესია საჭიროებების ზუსტი იდენტიფიცირებისათვის. მაგალითად, შემფასებლებმა მხედველობაში უნდა იქონიოს პირის დაღლილობის ხარისხი და მიღებული მედიკამენტების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესაძლო ეფექტები. შეფასების ჩანიშვნისას ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს დროის ის მონაკვეთი, როდესაც პირის მონაწილეობის, კომუნიკაციისა და გადაწყვეტილების მიღების უნარები დანარჩენ პერიოდთან შედარებით, სავარაუდოდ უფრო ქმედითია.

4.5.3. პირის ჩართულობის უზრუნველყოფა და კომუნიკაციის თავისებურებები

შეფასებას დაქვემდებარებული პირის (მიუხედავად მისი საჭიროებების კომპლექსურობისა) პროცესში ნებაყოფლობით ჩართვასა და ინფორმირებას უდიდესი როლი აკისრია. ამ მიზნის მისაღწევად, უშუალოდ შეფასების დაწყებამდე, შემფასებლებმა კომუნიკაციის გასაგები და მისაღები ფორმით (მათ შორის, მარტივად გასაგები ფორმატებით) უნდა აუხსნან პირს ისეთი საკითხები, როგორიცაა, შეფასების მიზანი, ფორმა, შესაძლო შედეგები და მისი მონაწილეობის დადებითი მხარეები, ასევე, შესაძლო ინსტრუმენტები იმ შემთხვევაში, თუ პირი არ დაეთანხმება შეფასების შედეგს.

შეფასების განხორციელებისას, არსებითია, რომ შეფასების განმახორციელებელმა პირებმა, თავიანთი შესაძლებლობის ფარგლებში, უზრუნველყონ სტრესის შემცირება და პირის ჩართულობის წახალისება, ასევე გამონახონ კომუნიკაციის ყველაზე მოსახერხებელი ფორმა, რომლებიც შეიძლება მოიცავდეს როგორც ვერბალური, ისე არავერბალური (მაგ. სხვადასხვა ვიზუალური მასალით (ფოტოები, ნახატები, სიმბოლოები)) სახით კომუნიკაციას. ცალკეულ შემთხვევებში, კომუნიკაციის ალტერნატიული საშუალებების აუცილებლობისა თუ ენობრივი ბარიერის გამო პირთან ურთიერთობის სირთულეებისას პროცესმა უნდა გაითვალისწინოს შესაბამისი სპეციალისტის (მაგ. თარჯიმნის, მეტყველების სპეციალისტის) მონაწილეობა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რაც შეფასებაზე პასუხისმგებელმა პირებმა კომუნიკაციისას მხედველობაში უნდა მიიღონ, პირის ინსტიტუციონალიზაციის გამოცდილებაა (ასეთის არსებობის შემთხვევაში). მნიშვნელოვანია, რომ მათ გაითვალისწინონ აღნიშნული პრაქტიკის უარყოფითი ზეგავლენა ადამიანის ცხოვრებაზე, მათ შორის, დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობის არარსებობა. შემფასებლებმა უნდა გაიაზრონ, რომ ამ ფაქტორებს შეუძლია გავლენა მოახდინონ ადამიანის ქცევაზე (მაგ. შეფასების პროცესის მიმართ უნდობლობაზე) და შენიღბონ მათი რეალური შესაძლებლობები. ამ საკითხების მხედველობაში მიღებით, მაქსიმალური ძალისხმევა უნდა იყოს გაწეული იმისათვის, რომ შეფასებას დაქვემდებარებული პირი შემოვიდეს კომუნიკაციაში და გამოთქვას თავისი შეხედულებები და სურვილები.

4.6. შეფასების პროცესის ცალკეული ეთიკური ასპექტები

ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული შეფასების პროცესის აუცილებელი ელემენტი ეთიკური ასპექტების მაქსიმალური გათვალისწინებაა. ცხადია, თითოეული შეფასების დროს პასუხისმგებელი პირების წინაშე ამ მიმართულებით სხვადასხვაგვარი გამოწვევა შეიძლება გვქონდეს სახეზე, თუმცა, ორი ძირითადი კომპონენტის – შეფასებას დაქვემდებარებული პირის ავტონომიურობისა და კონფიდენციალობის უზრუნველყოფის ვალდებულება უცვლელი პრიორიტეტი უნდა იყოს.

მნიშვნელოვანია, რომ შეფასებაზე პასუხისმგებელმა პირებმა პერსონალური ინფორმაციის შეგროვების, გამოყენებისა თუ გაცემისას უპირობოდ დაიცვან კონფიდენციალობა და ამგვარი ინფორმაციის დაცვის მიმართულებით ქვეყანაში არსებული რეგულაციები. არსებითია, რომ პა-

სუხისმგებელმა პირებმა შესაფასებელ პირს მიაწოდონ ინფორმაცია მონაცემების შეგროვების საჭიროებისა და მიზნობრიობის შესახებ და დაამუშაონ მხოლოდ ის მონაცემები, რაც შეფასების მიზნებისთვის არის რელევანტური.

შშმ პირთა ავტონომიურობის დაცვის, მათი ნებისა და სურვილების პრიორიტეტიზაციისკენ მიმართული მიდგომები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც პირი უარს აცხადებს შეფასებაში მონაწილეობაზე. ამ დროს, არსებითია, შეფასებაში ჩართულმა პირებმა თავიანთი შესაძლებლობების ფარგლებში, უზრუნველყონ ამგვარი გადაწყვეტილების მიზეზებისა და მათი აღმოფხვრის გზების იდენტიფიცირება, მათ შორის, თუ რამდენად არის გამოწვეული პირის უარი უნდობლობით, მის წინაშე არსებული გამოწვევების უარყოფით ან/და სტიგმის არსებობით. ამ დროს შემფასებლებმა შესაძლოა, კონსულტაციები გაიარონ პირის მხარდამჭერ ქსელთან ან პირის მისცენ შესაძლებლობა, შეფასების პროცესში ჩართოს/პროცესში მონაწილეობა მიაღებინოს მისთვის მისაღებ პირს.

4.7. შეფასების შედეგად შემუშავებული დასკვნის ფორმა

დასკვნის ვალიდურობის მისაღწევად, მნიშვნელოვანია, რომ მასში შეჯამებული და ერთმანეთთან დაკავშირებული იყოს შემფასებლის მიერ აღრიცხული და გადამოწმებული ინფორმაცია, რომელიც მან მიიღო შესაფასებელი პირის, ოჯახის, სერვისის მიმწოდებლისა თუ მულტიდისციპლინური გუნდის კონსულტანტების მხრიდან. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ შემფასებელი დასკვნის გაკეთებისას ინფორმაციის სხვადასხვა წყაროს (მაგ. სამედიცინო ისტორია, სპეციალისტების მოსაზრებები, ოჯახის წევრებისა და ახლო მეგობრების მიერ მოწოდებული ინფორმაცია) შეიძლება დაეყრდნოს, აუცილებელია, რომ ამ წყაროების სუბიექტურობამ არ მოახდინოს გადამწყვეტი ზეგავლენა შეფასების პროცესზე და უპირობო პრიორიტეტი შეფასებას დაქვემდებარებულ პირთან მიღებული ინფორმაციის ანალიზს მიენიჭოს.

=დღეისათვის დასკვნებში მოცემული ინფორმაცია, განსაკუთრებით, ქმედუნარიანობისა და მხარდაჭერის არსის გათვალისწინებით, მწირი და ფორმალურია. ხშირ შემთხვევაში, დასკვნებში პირი წარმოდგენილია არა როგორც აქტიური სუბიექტი, რომლის ნების, არჩევანისა და მხარდაჭერის საჭიროებების იდენტიფიცირებაზე უნდა იყოს შეფასების პროცესი დაფუძნებული, არამედ, როგორც დაკვირვების პასიური ობიექტი.

დასკვნაში ნაკლებად ხდება კონკრეტულ სფეროებთან მიმართებით პირის საჭიროებებზე ანალიტიკური მსჯელობა და მხარდაჭერის ინტენსივობისა და შესაძლო ფორმების გამოკვეთა. ძირითადად გამოკვლევის აღწერა ორიენტირებულია დეფიციტების აღწერაზე, თუმცა, არ ხდება მისი დაკავშირება პირის მიერ კონკრეტული ამოცანის შესრულებასთან/მხარდაჭერის საჭიროებასთან.

ერთ-ერთ დასკვნაში პირი აღწერილია, როგორც *„მიუწვდომელი კომუნიკაციისათვის, არ რეაგირებს, არც ვერბალურ, არც არავერბალურ მინიშნებაზე“*. ამავე დასკვნაში მოცემულია, რომ პირი „დაჟინებით უყურებს კანფეტს“. აღნიშნული ჩანაწერი ცხადყოფს, რომ კომუნიკაციის უნარ-ჩვევა ძირითადად მეტყველებაში სირთულეების იდენტიფიცირების საფუძველზეა შეფასებული, „დაჟინებით ცქერა“ კი არ არის ინტერპრეტირებული, როგორც კომუნიკაციის ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც ინდივიდი გამოხატავს თავის სურვილს.

მნიშვნელოვანია, დასკვნაში გაანალიზებული იყოს, რა კავშირშია ექსპერტიზის ჯგუფის სხვადასხვა სპეციალისტის მიერ მოყვანილი აღწერა საბოლოო გადაწყვეტილებასთან. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი მსჯელობა არ არის მოცემული დასკვნაში, შეუძლებელი იქნება სასამართლომ მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც დაეფუძნება იმ პრინციპებს, რომელსაც მოიცავს გადაწყვეტილების მხარდაჭერის მოდელი და შეფასების ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა.

განხილული თეორიული და პრაქტიკული საკითხები, მნიშვნელოვნად დაეხმარება პირისათვის მხარდამჭერის დანიშვნის პროცესში სასამართლო სისტემას შემდეგ საკითხებში:

- ექსპერტიზის ბიუროში საქმის გადაგზავნის დროს დასმული შეკითხვები მაქსიმალურად დააფუძნოს გადაწყვეტილების მხარდაჭერის მოდელის კონცეფციას და ორიენტირებული იყოს პირის გადაწყვეტილების მიღების პროცესში არსებულ საჭიროებებზე;
- კრიტიკულად შეაფასოს ექსპერტიზის დასკვნები და მოითხოვოს მათგან ისეთი საკითხების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, რომელიც მას რეალურად დაეხმარება გადაწყვეტილების მიღებაში, რომელიც, თავის მხრივ, ადამიანის უფლებათა დაცვის პარადიგმაზე იქნება აგებული;
- მხარდაჭერის მიმღებ პირთან გასაუბრების პროცესში დასვას კითხვები, რომელიც მას შესაძლებლობას მისცემს, მიიღოს პირისგან ინფორმაცია, ჩატარდა თუ არა შეფასება კონვენციისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

**დოკუმენტში განხილულ თემებთან დაკავშირებით
დამატებითი ინფორმაციის მიღების და/ან კითხვების შემთხვევაში,
შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ ორგანიზაციებს:**

**ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)
ტელ: 2 33 37 06**

**პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR)
ტელ: 2 33 13 56**